

კომპიუტერული ტექნოლოგიები

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შეიცავს 31 დავალებას.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 35.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



თეორიული ნაწილი

დავალება 1

ჩამოთვლილთაგან რომელი ინტერფეისი გამოიყენება მაღალი გარჩევადობის ვიდეო და აუდიო სიგნალის გადაცემისათვის:

- ა) VGA ინტერფეისი;
- ბ) DVI-I ინტერფეისი;
- გ) DVI-D ინტერფეისი;
- დ) HDMI ინტერფეისი.

დავალება 2

ჩამოთვლილთაგან რომელი ჯგუფი შეიცავს მხოლოდ აუდიო ფაილის გაფართოებებს?

ა) MP3, WAV, MIDI, FLAC

ბ) AAC, OGG, JPG, MP3

გ) WAV, AIFF, DOC, AAC

დ) MP3, MP4, MOV, WAV

დავალება 3

Windows-ის ოპერაციული სისტემის Command Prompt-ში (cmd) რომელი ბრძანება გამოიყენება კომპიუტერში არსებული დისკების შესამოწმებლად და შეცდომების გამოსასწორებლად?

- ა) defrag
- ბ) chkdsk
- გ) format
- დ) diskpart

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 4

ჩამოთვლილთაგან რომელი მოწყობილობაა ნაჩვენები სურათზე?

- ა) მარშრუტიზატორი;
- ბ) გარე მყარი დისკი;
- გ) უწყვეტი კვების წყარო;
- დ) ქსელური მონაცემთა საცავი.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 5

ორობითი რიცხვების გადატანა (დაძვრა) შესაძლებელია მარცხნივ და მარჯვნივ. რა მოხდება, თუ ორობით რიცხვს 0010 0011 გადავიტანთ მარცხნივ ორი თანრიგით?

- ა) მოცემული რიცხვის მნიშვნელობა გაიყოფა ორზე;
- ბ) მოცემული რიცხვის მნიშვნელობა გაიყოფა ოთხზე;
- გ) მოცემული რიცხვის მნიშვნელობა გამრავლდება ორზე;
- დ) მოცემული რიცხვის მნიშვნელობა გამრავლდება ოთხზე.

დავალება 6


ფერის სიღრმე განსაზღვრავს, რამდენი განსხვავებული ფერის წარმოდგენა შეუძლია თითოეულ პიქსელს. სურათის ფერის სიღრმე (colour depth) არის 5 ბიტი. ჩამოთვლილთაგან რომელია ფერების საერთო რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიიღოს ერთმა პიქსელმა?

- ა) 8 ფერი;
- ბ) 6 ფერი;
- გ) 32 ფერი;
- დ) 24 ფერი.

დავალება 7

სურათზე ნაჩვენებია დედაპლათასთან ერთ-ერთი კომპონენტის დაკავშირების პროცესი. ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედება აღწერს სწორად სურათზე ნაჩვენებ პროცესს?

- ა) ვიდეოდაპტერის დაკავშირება PCI-e გაფართოების სლოტში;
- ბ) ქსელის ადაპტერის დაკავშირება დედაპლათის შესაბამის სლოტში;
- გ) მყარი დისკის მიერთება დედაპლათასთან SATA კონექტორის გამოყენებით;
- დ) ოპერატიული მეხსიერების მოდულის დაკავშირება დედაპლათის შესაბამის სლოტში.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 8


ქვემოთ მოცემულ სურათზე გამოსახულია სხვადასხვა USB კონექტორი. რომელი ტიპის USB კონექტორი გამოიყენება თანამედროვე მოწყობილობებში (მაგ., სმარტფონებში, ლეპტოპებში, პლანშეტებში) დამუხტვისა და მონაცემთა გადაცემისათვის და ამავედროულად რომელი უზრუნველყოფს აუდიო/ვიდეო სიგნალების გატარებას?

ა) USB Type-C

ბ) USB Type-A

გ) USB Mini (Mini-B)

დ) USB Micro (Micro-B)



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 9

ჩამოთვლილთაგან რომელი მახასიათებელი/მახასიათებლები არ აღწერს სწორად ოპერატიული მეხსიერების (RAM) და მუდმივი მეხსიერების (SSD/HDD) თვისებებს?

- I. ოპერატიულ მეხსიერებას ჩვეულებრივ უფრო დიდი ტევადობა აქვს, ვიდრე მუდმივ მეხსიერებას.
- II. ოპერატიული მეხსიერება ენერგოდამოუკიდებელი მეხსიერებაა, ხოლო მუდმივი მეხსიერება ენერგოდამოკიდებული.
- III. ოპერატიული მეხსიერება გამოიყენება დროებითი მონაცემების შესანახად, ხოლო მუდმივი მეხსიერება ინახავს მონაცემებს ხანგრძლივად.

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ I და II;

დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 10

ნახაზზე მოცემულია სქემა, რომლის მარცხენა ნაწილში ჩამოთვლილია კომპიუტერის ხუთი მოწყობილობა, ხოლო მარჯვნივ დებულება რომელიც აღწერს ამ მოწყობილობის დანიშნულებას.

მოცემულ ცხრილში შეარჩიეთ კომპიუტერის მოწყობილობისა და მისი დანიშნულებების სწორი შესაბამისობა.

- | | | | | | |
|----|-------|--------|---------|--------|-------|
| ა) | I – C | II – E | III – B | IV – A | V – D |
| ბ) | I – B | II – D | III – A | IV – B | V – E |
| გ) | I – C | II – E | III – D | IV – A | V – B |
| დ) | I – D | II – B | III – A | IV – E | V – C |

I	პროექტორი	A	ქაღალდის დოკუმენტს გარდაქმნის ელექტრონულ ფორმაში და ინახავს ფაილის სახით კომპიუტერში.
II	ჭავჭავი პრინტერი	B	საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაწეროს ზედაპირზე კალმის გამოყენებით, შემდეგ ტექსტი/ნახატი ჩაიწერება ელექტრონულად და ინახება მეხსიერებაში.
III	ინტერაქტიული დაფა	C	იყენებს კაშკაშა თეთრი სინათლის წყაროს და მიკრო სარკეებს კედელზე ან ეკრანზე გამოსახულების გამოსატანად.
IV	სკანერი	D	იყენებს უარყოფითად დამუხტულ გამოსახულებას მზრუნავ ბარბანზე და დადებითად დამუხტულ ტონერს ნაბეჭდი ასლის გამოსატანად.
V	ლაზერული პრინტერი	E	ბეჭდური ასლის შესაქმნელად იყენებს თერმულ ბუმბუს ან პიეზოელექტრონულ ტექნოლოგიას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 11

სურათზე ნაჩვენებია კომპიუტერის კვების ბლოკი, სურათის მარცხნივ განმარტებულია მისი მახასიათებლები, თუმცა გამოტოვებულია რამდენიმე.

ბრენდი : Zalman

-----: ATX

მოდელი: ZM700-LX3

-----: 100,000 Hours

----- : 1 x Mainboard Cable, 1 x CPU Cable, 2 x PCI Express Cable, 4 x SATA, 3 x IDE

----- : 700 watt

ზომები (სიმაღლე x სიგანე x სიღრმე): 140 x 150 x 86 mm

წონა: 1.6 კგ

კომერციული გარანტია: 24 თვე



ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს კვების ბლოკის გამოტოვებული მახასიათებლების სწორ მიმდევრობას?

ა) ფორმ ფაქტორი – უმტყუნო მუშაობის დრო – კონექტორი – ელექტრომომარაგების სიმძლავრე;

ბ) ფორმ ფაქტორი – ელექტრომომარაგების სიმძლავრე – კონექტორი – უმტყუნო მუშაობის დრო;

გ) კონექტორი – უმტყუნო მუშაობის დრო – ფორმ ფაქტორი – ელექტრომომარაგების სიმძლავრე;

დ) კონექტორი – ელექტრომომარაგების სიმძლავრე – უმტყუნო მუშაობის დრო – ფორმ ფაქტორი;

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 12

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება/დებულებები აღწერს სწორად UTF-8 კოდირების მახასიათებლებს?

- I. UTF-8-ის პირველი 128 სიმბოლო (0-დან 127-მდე) იგივეა, რაც ASCII-ის 7-ბიტიათი ნაკრები.
- II. UTF-8-ში ყველა სიმბოლოს გამოსახვა შესაძლებელია 1 ბაიტში (8 ბიტში), ისევე როგორც ASCII - ში.
- III. UTF-8 იყენებს ცვლადი სიგრძის კოდებს (1-დან 4 ბაიტამდე), მაგრამ ASCII-ის 128 სიმბოლოსთვის მხოლოდ 1 ბაიტს.

- ა) მხოლოდ I;
- ბ) მხოლოდ III;
- გ) მხოლოდ I და III;
- დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 13

ჩამოთვლილთაგან შეარჩიეთ ოპერაციული სისტემა Windows-ის მართვის რომელი აპლიკაცია გამოიყენება მიმდინარე სისტემური პროცესების მონიტორინგისათვის?

- ა) Task Manager
- ბ) Control Panel
- გ) Device Manager
- დ) System Information

დავალება 14

ჩამოთვლილთაგან ოპერაციული სისტემა Windows-ის მართვის რომელი აპლიკაცია გამოიყენება შემნახველ მოწყობილობებზე მანიპულაციებისათვის, მაგალითად, დისკების ლოგიკურ ნაწილებად დაყოფისას (Partitioning)?

ა) Disk Cleanup

ბ) Storage Spaces

გ) Disk Management

დ) BitLocker Drive Encryption


დავალება 15

პროგრამა Paint-ში მოცემულია სურათი.



განხორციელებული მოქმედების/მოქმედებების შემდეგ მიიღეს მოცემული სურათის ორი განსხვავებული ვარიანტი.

ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედება/მოქმედებები შესრულდა სახატავი ინსტრუმენტების გამოყენებით პროგრამა Paint-ში?



- ა) ვარიანტი 1-ზე სურათი მოაბრუნეს 180° -ით, ვარიანტი 2-ზე სურათი დახარეს (Skew) ვერტიკალის მიმართ 30° -ით;
- ბ) ვარიანტი 1-ზე სურათი მოაბრუნეს 270° -ით; ვარიანტი 2-ზე სურათი დახარეს (Skew) ჰორიზონტალის მიმართ 30° -ით;
- გ) ვარიანტი 1-ზე სურათი გადააბრუნეს ჰორიზონტალურად (Flip horizontal) და წიგნს შეუცვალეს ფერი; ვარიანტი 2-ზე სურათი დახარეს (Skew) ვერტიკალის მიმართ 30° -ით;
- დ) ვარიანტი 1-ზე სურათი გადააბრუნეს ვერტიკალურად (Flip vertical) და წიგნს შეუცვალეს ფერი; ვარიანტი 2-ზე სურათი დახარეს (Skew) ჰორიზონტალის მიმართ 30° -ით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31


დავალება 16

ჩამოთვლილთაგან რა ფუნქცია აქვს Windows-ის ოპერაციულ სისტემაში winlogon.exe პროცესს?

- ა) მართავს სისტემის განახლებების პროცესს;
- ბ) პასუხისმგებელია სისტემის ფაილების დაცვაზე;
- გ) უზრუნველყოფს ქსელურ კავშირებს სხვა კომპიუტერებთან;
- დ) პასუხისმგებელია მომხმარებლის ავტორიზაციასა და სისტემაში შესვლაზე.

დავალება 17

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება აღწერს სწორად სურათზე მოცემული Creative Commons (CC) ლიცენზიის ტიპს?



- ა) ლიცენზია კრძალავს ნამუშევრის გამოყენებას ნებისმიერი კომერციული ან საგანმანათლებლო მიზნებისათვის;
- ბ) ლიცენზია ნებას რთავს ნამუშევრის თავისუფლად მოდიფიცირებასა და კომერციულ გამოყენებას, მაგრამ მოითხოვს ავტორის მითითებას;
- გ) ამ ლიცენზიის პირობებით ნამუშევრის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, მოდიფიცირებით, მაგრამ არ არის აუცილებელი ავტორის მითითება;
- დ) ლიცენზიით დაცული ნამუშევრის გამოყენება შესაძლებელია კომერციული და არაკომერციული მიზნებისათვის, მაგრამ მასზე ცვლილებების შეტანა აკრძალულია და ავტორის მითითება აუცილებელია.

დავალება 18

IP მისამართი 172.16.10.5-ისა და ქვექსელის ნილაბი 255.255.255.0-ის გამოყენებით, განსაზღვრეთ ქსელის მისამართი ორობით ფორმაში:

ა) 10101100.00010000.00001010.00000000

ბ) 10101100.00010000.00001010.00000101

გ) 10101100.00010000.00000000.00000000

დ) 10101100.00010000.00001010.11111111

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 19

ჩამოთვლილთაგან ქსელურ ტექნოლოგიებში რომელი პროტოკოლი გამოიყენება ქსელური მოწყობილობებისათვის IP მისამართის ავტომატურად მისანიჭებლად?

- ა) DNS (Domain Name System)
- ბ) ARP (Address Resolution Protocol)
- გ) APIPA (Automatic Private IP Addressing)
- დ) DHCP (Dynamic Host Configuration Protocol)

დავალება 20

თქვენ უყურებთ 4K ვიდეოს YouTube-ზე, რომლის ხარისხი მოითხოვს 25 მეგაბიტი წამში (Mbps) გამტარუნარიანობას. თუ თქვენი ინტერნეტის გამტარუნარიანობაა 100 მეგაბიტი წამში (Mbps), რამდენი მსგავსი 4K ვიდეოს სტრიმინგი (გადაცემა) შეგიძლიათ ერთდროულად გაუშვათ, როცა თქვენი გამტარუნარიანობის 20% სხვა აპლიკაციებისათვის (მაგ., ფონური განახლებები) გამოიყენება?

- ა) 2 ვიდეოს;
- ბ) 3 ვიდეოს;
- გ) 4 ვიდეოს;
- დ) 5 ვიდეოს.

დავალება 21

ქვემოთ მოცემულია ექვსი დებულება მეხსიერების შემნახავი მოწყობილობების შესახებ. პასუხებში მოცემულია მყარი დისკის HDD და SSD დისკის მახასიათებელი დებულებები (ზოგიერთი დებულება შესაძლოა იყოს საერთო ორივე მოწყობილობისათვის).

შეარჩიეთ, რომელი ცხრილი აღწერს სწორად HDD და SSD დისკების მახასიათებლების სწორ შესაბამისობას.

A – ენერგოდამოუკიდებელი მოწყობილობაა;

B – აქვს მბრუნავი ნაწილები;

C – იყენებს ფლემ მეხსიერებას მონაცემთა შესანახად;

D – იყენებს მაგნიტურ ტექნოლოგიას მონაცემთა ჩასაწერად;

E – მოწყობილობას აქვს წაკითხვა/ჩაწერის ციკლების შეზღუდული რაოდენობა;

F – გამოიყენება მონაცემთა სარეზერვო ასლების შესანახად;

ა)

HDD დისკი	SSD დისკი
A	A
C	D
D	E
E	F

ბ)

ბ)

HDD დისკი	SSD დისკი
A	A
B	C
D	E
F	F

გ)

გ)

HDD დისკი	SSD დისკი
B	A
C	B
E	D
F	E

დ)

დ)

HDD დისკი	SSD დისკი
A	B
B	C
C	D
F	E

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 22

ჩამოთვლილთაგან რა დანიშნულება აქვს კვების ბლოკის (PSU) 6+2-წკირიან (pin) PCIe კონექტორს?

- ა) ელექტრო ენერგიის მიწოდება პროცესორისათვის;
- ბ) ელექტრო ენერგიის მიწოდება გრაფიკული ბარათისათვის (GPU);
- გ) ელექტრო ენერგიის მიწოდება კომპიუტერის ვენტილატორებისათვის;
- დ) ელექტრო ენერგიის მიწოდება ოპერატიული მეხსიერებისათვის (RAM).

დავალება 23

ჩამოთვლილთაგან შეარჩიეთ ფაილთა ტიპების წყვილი, რომელიც იყენებს უდანაკარგო შეკუმშვის (lossless compression) მეთოდს.

ა) JPEG და MP3

ბ) PDF და PNG


გ) WAV და MP4

დ) JPEG და PNG

დავალება 24

დათოს მიერ შექმნილი Scratch-ის პროგრამა ცვლის ცვლადის "point"-ის მნიშვნელობას, როდესაც პროგრამა ეშვება. ქვემოთ მოცემულია Scratch-ის პროგრამის ბლოკები. რა იქნება ცვლად "point"-ის საბოლოო მნიშვნელობა?

- ა) 4
- ბ) 6
- გ) 8
- დ) 10



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 25


თამარის მიერ შექმნილი Scratch-ის პროგრამა ცვლის ცვლადის "count"-ის მნიშვნელობას, როდესაც პროგრამა ეშვება. ქვემოთ მოცემულია Scratch-ის პროგრამის ბლოკები. რა იქნება ცვლად "count"- საბოლოო მნიშვნელობა?

ა) 4

ბ) 5

გ) 6

დ) 7



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 26

ჩამოთვლილთაგან პროცესორის რომელი კომპონენტია პასუხისმგებელი ქეშ მეხსიერების (Cache) მართვისთვის?

ა) Control Unit (CU)

ბ) Bus Interface Unit (BIU)

გ) Arithmetic Logic Unit (ALU)

დ) Memory Management Unit (MMU)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 27

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება/დებულებები აღწერს სწორად პროცესორის ჩიპსეტის (Chipset) დანიშნულებას?

- I. ჩიპსეტი არის ინტეგრირებული მიკროსქემა, რომელიც აკავშირებს პროცესორს, ოპერატიულ მეხსიერებასა და პერიფერიულ მოწყობილობებს.
 - II. ჩიპსეტი პასუხისმგებელია კომპიუტერის სხვადასხვა კომპონენტს შორის მონაცემების ზუსტად და ეფექტურად გადაცემაზე.
 - III. ჩიფსეტი არის ინტეგრირებული მიკროსქემა, რომელიც პროცესორთან ერთად პასუხისმგებელია გამოთვლებისა და ინსტრუქციების შესრულებაზე.
- ა) მხოლოდ I;
 - ბ) მხოლოდ III;
 - გ) მხოლოდ I და II;
 - დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 28

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ აღწერს სწორად VRAM-ის მახასიათებლებს?

- ა) VRAM არის სპეციალიზებული მეხსიერება, რომელიც გამოიყენება გრაფიკული მონაცემების შესანახად;
- ბ) VRAM არის სპეციალიზებული მეხსიერება, რომელიც პროცესორს ეხმარება მონაცემთა დამუშავებაში;
- გ) VRAM ბევრად სწრაფია, ვიდრე ჩვეულებრივი RAM და განსაზღვრავს, რამდენი გრაფიკული მონაცემი შეიძლება დამუშავდეს ერთდროულად;
- დ) VRAM აუცილებელია გრაფიკული ადაპტერისათვის, რადგან უზრუნველყოფს გამოსახულების სწრაფ დამუშავებას, 3D ანიმაციებისა და თამაშების სწრაფ რენდერინგს (დამუშავებას).

თქვენ ცდილობთ გარე მყარი დისკის (External HDD) დაკავშირებას კომპიუტერთან USB პორტის მეშვეობით, მაგრამ ოპერაციული სისტემა ვერ ახდენს მის ამოცნობას.

- დაასახელეთ ორი შესაძლო მიზეზი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ეს პრობლემა.
- აღწერეთ გადაჭრის გზები თითოეული მიზეზისათვის.

თქვენ მუშაობთ პროექტზე, რომელიც მოითხოვს ინფორმაციის დამუშავებას, ვიზუალური მასალის შექმნასა და გუნდურ თანამშრომლობას. პროექტის წარმატებისათვის აუცილებელია სწორი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად.

ჩამოთვალეთ ორი სხვადასხვა კატეგორიის პროგრამული უზრუნველყოფა (მაგალითად: ტექსტური რედაქტორები, პრეზენტაციის პროგრამები, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, გრაფიკული რედაქტორები, პროგრამირების გარემო და ა. შ.).

აირჩიეთ აქედან ორი კატეგორია და თითოეულისათვის:

- მიუთითეთ ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომლებიც დაგეხმარებათ პროექტის განხორციელებაში;
- აღწერეთ, როგორ ეხმარება ეს ფუნქციები კონკრეტული პრობლემის გადაჭრაში (მაგ., დროის დაზოგვა, სიზუსტის გაზრდა, თანამშრომლობის გაუმჯობესება).

დაახასიათეთ ღრუბლოვანი საცავი (Cloud Storage) და ლოკალური საცავი (Local Storage) და აღწერეთ განსხვავება მათ შორის.

- ჩამოთვლილთაგან შეარჩიეთ ორი მახასიათებელი და შეადარეთ ისინი ერთმანეთს საცავის ტიპების მიხედვით:
 - მონაცემთა ხელმისაწვდომობა;
 - უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა;
 - ღირებულება;
 - მასშტაბურობა.